პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

სიდა
ჩვენ ● ვაკავშირებთ

GPAM
ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს

www.migrant.ge | fb.com/migrant.ge | იანვარი 2016 წ.

ბიულეტენი#9

საბერძნეთის სკაიპის ცხელი ხაზი migrant_gr | თურქეთის სკაიპის ცხელი ხაზი migrant_tr | საქართველოს სკაიპის ცხელი ხაზი migrant_ge

მისალმება

პატივცემულო მკითხველო, მოგესალმებით G-PAM პროექტის გუნდის სახელით. არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“, 2013 წლის აპრილიდან ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს „ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს“ (G-PAM). წინამდებარე ბიულეტენის თემას წარმოადგენს კომისიის ფარგლებში შექმნილი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული და მთავრობის მიერ უკვე დამტკიცებული საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია. ,,სიდა“ მიგრაციის სამთავრობო კომისიაში 2013 წელს გაწევრიანდა საკონსულტაციო სტატუსით სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად და ამის გათვალისწინებით შემუშავების პროცესშიც აქტიურად იყო ჩართული. დოკუმენტში განსაზღვრულია ქვეყნის პოლიტიკა მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებით და დაფიქსირებულია ის ძირითადი მიმართულებები, რასაც სახელმწიფო მნიშნელოვან პრიორიტეტებად მიიჩნევს.

მიმოხილვა

სამოქალაქო განვითარების სააგენტო - „სიდა“ რამაზ ბაბუნაშვილი

2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია საქართველოში მიმდინარე მიგრაციული პროცესების მარეგულირებელ მთავარ დოკუმენტად წარმოგვიდგება. მისი წინამორბედი 2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგია იყო, რომელიც თვისობრივად და სტრუქტურულად რადიკალურად განსხვავებულია ამ დოკუმენტისგან. 2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგიამ პირველად ჩამოაყალიბა ის ძირითადი მიმართულებები, რა კუთხითაც უნდა განვითარებულიყო სახელმწიფოს მიგრაციული პოლიტიკა, რომელიც 2013 წელს ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და ხელშეწყობით შემუშავდა, რაც საერთაშორისო დაინტერესებაზე მეტყველებს. მიგრაციის სტრატეგიის მიმართ მოლოდინი საკმაოდ მაღალი იყო როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, მის გარეთ. განსაკუთრებით მისი წინამორბედის ფონზე მნიშვნელოვანი იყო ახალი სტრატეგია უფრო პროგრესული და არსებული გამოწვევების შესაბამისი ყოფილიყო. სტრატეგიის შემუშავება მიგრაციის კომისიის ავტორობით მოხდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ სამუშაო პროცესი გაფართოებულ ჯგუფში მიმდინარეობდა, რამაც საშუალება მისცა როგორც სამთავრობო უწყებებს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებს, საკუთარი როლი განესაზღვრათ და შენიშვნების საშუალებით საკუთარი გამოცდილების საფუძველზე პოზიტიური ზეგავლენა მოეხდინათ.

სარჩევის ეტაპზეც ჩანს, რამდენად განსხვავებულია მიდგომა შინაარსობრივი მხარის მიმართ. ამ დოკუმენტში თემატურ დონეზე გაშლილია ყველა ის მიმართულება, რაც შეიძლება, რომ მიგრაციის კუთხით იყოს პრობლემური ან აქტუალური. მათ შორისაა: 1) ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა; 2) არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა; 3) თავშესაფრის სისტემის განვითარება; 4) იმიგრანტთა ინტეგრაციისა და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა; 5) მიგრაცია და განვითარება; 6) მიგრაციის მართვის გაუმჯობესება; 7) საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება. ეს თემები წარმოადგენენ ქვაკუთხედს, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა მოხდეს ქვეყნის მიგრაციული პოლიტიკის წარმართვა. მნიშნელოვანია, რომ სტრატეგიამ ყველა ის ძირითადი საკვანძო თემა მოიცვა, რომელიც არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და მათი გადაჭრის გზებზე მუშობას უწყობს ხელს. თითოეული თემა, თავის მხრივ, სამ ქვეთავად იყოფა, რომლებიც მის სტრუქტურულ შემადგენლობას განსაზღვრავს. ყოველი მათგანი შინაარსობრივად იყოფა: სიტუაციის ანალიზად, მიზნებად და ამოცანებად. თითოეული მათგანი თემას სხვადასხვა კუთხით წარმოადგენს და შეფასების პროცესში მარტივად აღსაქმელ სურათს ქმნის.

შესავალ ნაწილში განხილულია მიგრაციის სტრატეგიების განვითარება და ამ მიმართულებით საქართველოში მიმდინარე პროცესები, ასევე, ისტორიული ექსკური, რაც ნათელ სურათს გვაძლევს, თუ რა გზა გამოიარა საქართველოში მიგრაციულმა პოლიტიკამ და როგორ მიემართება ის. მიგრაციის პირველმა სტრატეგიამ ამ კუთხით პოლიტიკის წარმართვას ჩაუყარა საფუძველი, მაგრამ დროსთან ერთად გაიზარდა სფეროს განვითარების მასშტაბები და პრობლემებიც სტატისტიკურად ახალ საფეხურზე გადავიდა. შესაბამისად, საჭირო გახდა, რომ სტრატეგიას რეგულირების უფრო ფართო წრე მოეცვა. ამ მხრივ 2013-2015

წლების მიგრაციის სტრატეგიამ საშუალება მისცა სახელმწიფოს, დაენახა თუ რა მიმართულებით იყო საჭირო მუშაობა. ამის გათვალისწინებით, როგორც მოქმედ 2016-2020 წლების სტრატეგიაშია აღნიშნული, 2013-2015 წლების სტრატეგიამ, მისმა სამოქმედო გეგმამ საფუძველი ჩაუყარა მიგრაციის მართვის მექანიზმების ინსტიტუციურ განვითარებას საქართველოში; გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები საკანონმდებლო ბაზის დახვეწისა და ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოების კუთხით.

აღსანიშნავია მიგრაციის კომისიის სამდივნოს სურვილი, რომ მათი მუშაობის პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციები მაქსიმალურად იყვნენ ჩართულნი და მათგან საჭირო შენიშვნები მიიღონ. ეს პროცესი 2013 წელს დაიწყო, როდესაც შეირჩა ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც საკონსულტაციო სტატუსით კომისიის წევრობის უფლება მიეცათ. მათ შორის ერთ-ერთი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან (ინოვაციების და რეფორმების ცენტრი (IRC), მიგრაციის ცენტრი (MC), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), საქართველოს გაეროს ასოციაცია) ერთად. ამის გათვალისწინებით, სტრატეგიის სამუშაო ვერსია გადაეგზავნა არასამთავრობო სექტორსაც, მათგან შენიშვნების მიღების და გათვალისწინების მიზნით. „სიდას“ მიერ დოკუმენტის სამუშაო ვერსია ძირითადად პოზიტიურად შეფასდა, თუმცა იყო გარკვეული საკითხები, რომლებიც ჩვენი აზრით, მეტი ყურადღების დათმობას საჭიროებდა. ,,სიდამ“ რამდენიმე რეკომენდაცია მიაწოდა კომისიას რომელიც გულისხმობს, საერთაშორისო თანამშრომლობის ყველა მიმართულების განსაზღვრას, მიგრაციის მართვის კუთხით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლის გაძლიერებას, შიდა მიგრაციის საკითხებზე მუშაობას, რაც ეკომიგრანტების სტატუსის განსაზღვრას და საკანონმდებლო ბაზის დახვეწას გულისხმობს, ასევე გულისხმობს შრომითი მიგრაციის სფეროში მოსახლეობამდე ინფორმაციის მიწოდებაზე მუშაობას, მიგრაციის სფეროში დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, პროფკავშირების და სახალხო დამცველის როლის გაძლიერებას და მათი რესურსის უკეთ გამოყენებას, საზოგადოებრივ ცენტრებში „სიდას“ მიერ პილოტირებული მიგრაციის საკონსულტაციო-საინფორმაციო სერვისის ინსტიტუციონალიზების ხელშეწყობას. ასევე, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ „სიდას“ რეკომენდაციები, შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული სტრატეგიის შემდგომი დამუშავების პროცესში.

აქედან გამომდინარე, მიგრაციის სტრატეგია 2016-2020 უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია, როგორც ქვეყნის შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული ბაზის განვითარებისთვის, ასევე, საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავების კუთხით. მისი მოქმედების შედეგი შესაძლებელია საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელიც აღმოჩნდეს. ამის მანიშნებელია ისიც, თუ რამხელა ყურადღება დაეთმო ევროკომისიის VLAP-ის ანგარიშში წარმატებული მიგრაციის სტრატეგიის შემუშავებას.

ინტერვიუ

ინტერვიუ მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს აღმასრულებელ მდივანთან, ბატონ გიორგი ჯაშთან

- რა პროცესები უძღოდა წინ მიგრაციის სტრატეგიის შემუშავებას?

მიგრაციის რიგით მესამე სტრატეგიის შემუშავება მნიშვნელოვანწილად განაპირობა ორმა ძირითადმა ფაქტორმა: გლობალურ და მისგან გამომდინარე ლოკალურ დონეზე არსებულმა თანამედროვე გამოწვევებმა და ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით აღებულმა ვალდებულებებმა. ახალი სტრატეგიის შემუშავებას წინ უძღოდა მისი წინამორბედი სტრატეგიის (2013-2015 წ.წ.) განხორციელებიდან მიღებული გამოცდილების შეფასება და ნაკლოვანებების ანალიზი. მიუხედავად იმისა, რომ გასული სამი წლის მანძილზე მოქმედი სტრატეგია თავისი მასშტაბით და ამოცანებით რადიკალურად განსხვავდება 2015 წლის 14 დეკემბერს დამტკიცებული დოკუმენტისგან, მისი სამოქმედო გეგმის სრულფასოვანი განხორციელების გარეშე ძალზედ გართულდებოდა ახლებური და მიღებულ გაკვეთილებზე დაფუძნებული ხედვის ჩამოყალიბება. სწორედ ამ სამოქმედო გეგმის სრულფასოვანი შესრულება ხაზგასმით აღინიშნა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ ევროკომისიის საბოლოო ანგარიშში.

წინა სტრატეგია მომზადდა 2012 წელს და გარკვეული ცვლილებებით დამტკიცდა ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის საქართველოსთვის გადმოცემის პარალელურად, 2013 წელს. სამოქმედო გეგმაში გაწერილი დავალებების იმპლემენტაციამ და გარე სამყაროში მიმდინარე მიგრაციულმა პროცესებმა იმდენად დააჩქარა ძველი სტრატეგიის განხორციელების პროცესი და ამოწურა მისი პოტენციალი, რომ ძალზედ მოკლე ხანში დადგა საჭიროება დაგვეწყო ფიქრი ახალი სტრატეგიის შემუშავებაზე, რომელიც დივერსიფიცირებულ კონცეფციას დაეყრდნობოდა და იმოქმედებდა ახალ სტანდარტებზე დამყარებული მიდგომების საფუძველზე. სათანადოდ, მუშაობაც წარიმართა განახლებული მეთოდოლოგიით, განსხვავებულ რიტმსა და სტილში.

საგანგებოდ შექმნილი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის საჭიროების მიხედვით სხვადასხვა ფორმატებად დაყოფილ შეხვედრებში, კომისიის წევრ უწყებებთან ერთად მონაწილეობდა მთავრობის ადმინისტრაცია, სახალხო დამცველის აპარატი და სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო. პროცესი მოითხოვდა ყველა მხარის მაქსიმალურ ჩართულობას, ამიტომაც, როგორც გაფართოებული, ასევე ინდივიდუალური მუშაობის ამგვარმა მიდგომამ სამუშაო პროცესი მაქსიმალურად გააადვილა. მთლიანობაში 2015 წლის იანვრიდან დეკემბრამდე 20-ზე მეტი შეხვედრა ჩატარდა, რის შემდეგაც სტრატეგიის სამუშაო ვერსია ექსპერტიზისთვის საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს გაეგზავნა. მათგან კი, მივიღეთ მნიშვნელოვანი შენიშვნები, რომელთა დიდი წილიც გათვალისწინებულია სტრატეგიაში და/ან მის სამოქმედო გეგმაში (2016-2017 წ.წ.).

- მიგრაციის ახალი სტრატეგიის ძირითადი ასპექტებიდან თქვენ რომელს გამოარჩევდით?

პირველ რიგში განსაკუთრებით მნიშნელოვანია, რომ სამუშაო პროცესში მაქსიმალურად ჩართულნი იყვნენ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები. მეორე, რაც ასევე საგულისხმოა, არის ის, რომ დოკუმენტში ასახულია მიგრაციის მართვასთან დაკავშირებული საერთაშორისო მიდგომები. მაგალითად, ვხელმძღვანელობდით ბუდაპეშტისა და პრაღის პროცესების, ასევე მიგრაციისა და განვითარების გლობალური ფორუმის და სხვა, ე.წ. პოლიტიკის დოკუმენტებითა და მიდგომებით. სხვადასხვა ვიზიტების დროს მიღებული გამოცდილების საფუძველზე ჩამოყალიბდა გარკვეული ხედვა, რამაც განაპირობა დოკუმენტის სტრუქტურა და შინაარსი. ამავდროულად, ევროკავშირს ე.წ. „More for More“-ს პროექტის საწყის ეტაპზევე, კომისიის სამდივნოს ინიციატივითა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრისა (ICMPD) და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის მხარდაჭერით ჩამოვაყალიბეთ საპილოტე ანალიტიკური განყოფილება. იდეის დონეზე წარმოგვედგინა, რომ გვეყოლებოდა ორი მკვლევარი, რომლებიც დამოუკიდებელი პერსპექტივიდან შეხედავდნენ მუშაობის პროცესს და სათანადოდ მათ მიერ შექმნილი პროდუქტიც თვისობრივად განსხვავებული იქნებოდა აქამდე არსებული ანალოგებისგან. მკვლევარებს ჰქონოდათ შესაძლებლობა ეწარმოებინათ მუშაობა დამოუკიდებელ და მაქსიმალურად ხელსაყრელ გარემოში. ისინი, სამდივნოსთან ერთად აკვირდებოდნენ

მიმდინარე პროცესებს, შეისწავლეს პრობლემური ასპექტები და საბოლოოდ მოგვცეს დოკუმენტის პირველადი სქემა. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიასთან ერთად, პარალელურად მიმდინარეობდა საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილზე მუშაობაც, რომლისთვის გამოთხოვნილი სტატისტიკური ინფორმაცია გამოყენებული იქნა სტრატეგიის თემატური მიმართულებების სიტუაციის ანალიზში და დაგვეხმარა ცალკეული ამოცანების შედგენისას მათ არგუმენტირებულად დასაბუთებაში. ასევე, მნიშნელოვანია მეთოდოლოგია რის საფუძველზეც გაკეთდა სამოქმედო გეგმა, რომელიც თანხვედრაში მოდის სამთავრობო სამოქმედო გეგმის სისტემასთან და ევროკავშირის სტანდარტებზეა მორგებული. შესაბამისად, დოკუმენტში გაჩნდა ის დამატებითი კომპონენტები, რისი გათვალისწინებაც წინა სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში შეუძლებელი იყო. სტრატეგიის ამჟამინდელი სამოქმედო გეგმა ორ ეტაპიანია და მოიცავს პირველ (2016-2017 წ.წ.) ორწლიან და მეორე (2018-2020) სამწლიან მონაკვეთებს. ეს სამუშაო პროცესს უფრო მოქნილს და ბევრად ეფექტიანს ხდის.

- რა გავლენა იქონია მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა ამ მიმართულებით?

წინა სტრატეგიის მიზანი იყო განევითარებინა მექანიზმი, რაც მომავალში დაგვეხმარებოდა მიგრაციის მართვის სტაბილური სისტემის ჩამოყალიბებაში და მის ევროპულ ანალოგებთან შესაბამისობაში მოიყვანდა. იგივე მოტივები იდო ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმაშიც, რომელიც თავისი არსით ასახავდა იმ საერთაშორისო პროცესების გამოძახილს, რაც ევროპის მასშტაბით ვითარდებოდა და რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა ახალი სტრატეგიის შინაარსობრივი მხარე.

- რა მიგაჩნიათ განსაკუთრებით მნიშვნელოვან მიღწევებად მიგრაციის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შიგნით?

პირადად ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოა მიგრაციისა და განვითარების თემა, რაც თანამდეროვე სამყაროს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებადაა აღიარებული და განსაზღვრულია ხელი შეუწყოს, როგორც თავად მიგრანტის წარმატებას, ასევე მისი გამგზავნი და/ან მიმღები ქვეყნის განვითარებას. ამავდროულად, ეს პროცესი ხელს უშლის და არეგულირებს ე.წ ინტელექტის გადინებას (დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით ალბათ, ეს ფენომენი უფრო ტექნიკური უნარების მქონე პირთა გადინების სახელით უნდა მოვიხსენიოთ), რაც სახელმწიფოს კვალიფიციური კადრის დეფიციტს უქმნის. აქ მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ ემიგრანტმა მიიღოს გამოცდილება და სამშობლოში დაბრუნებულს შეეძლოს ამ უნარების რეალიზება. გარდა ამისა, სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა ერთმანეთს სამ სხვადასხვა, თუმცა ერთმანეთთან მჭიდროდ ურთიერთდამოკიდებულ მნიშვნელოვან დოკუმენტს აკავშირებს, ესენია: მიგრაციის სფეროში სტატისტიკური მონაცემების მოპოვება-დამუშავების მიზნით შექმნილი მიგრაციის ერთიანი ანალიტიკური სისტემა (გაიშვება 2016 წელს); ამ უკანასკნელის მეშვეობით შემუშავებული ე.წ. მიგრაციის პროფილი, რომელიც არსებული სტატისტიკის საფუძველზე აწარმოებს ანალიზს და მიგრაციის სფეროში რისკების ანალიზის ერთიანი სისტემა, რომელიც ამ ანალიტიკის საფუძველზე აფასებს მიგრაციული პროცესების ხასიათს და გამოყოფს არსებულ საფრთხეებს; ხოლო სამივე ამ მექანიზმის ერთობლივი პროდუქტია სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება თითოეული კომპონენტის მიერ წარმოებულ ანალიტიკურ მასალას.

- ამ პროცესში არასამთავრობო სექტორის ჩართულობის კუთხითაც რომ ვისაუბროთ, რა მიმართულებით გაგრძელდება არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა?

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიაში წარმოდგენილია 13 უწყება, საიდანაც ნაწილის საქმიანობა პირდაპირ კავშირშია მიგრაციასთან, ნაწილი კი, ირიბად ახდენს ზეგავლენას მიგრაციულ პოლიტიკაზე. ამასთან, კომისიის საქმიანობაში განსაკუთრებულ როლს თამაშობენ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები (მათ შორის სამოქალაქო განვითარების სააგენტო), რომელთა საექსპერტო ცოდნა და გამოცდილება არაერთხელ იქნა გამოყენებული სხვადასხვა მნიშვნელოვან დოკუმენტზე, (მაგალითად სტრატეგიაზე), მუშაობისას. ამგვარი მიდგომის საფუძველზე ყველა უწყებას გააზრებული აქვს ის, თუ რა კუთხითაც გააგრძელებს მუშაობას პარტნიორ ორგანიზაციასთან. ამ მხრივ არასამთავრობო სექტორის, როგორც პროცესის პარტნიორის და შემფასებლის ფუნქცია მეტად მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ ევროკომისიის მეოთხე და საბოლოო ანგარიშის მიხედვით ჩვენ ყველა ვალდებულება სრულად შევასრულეთ, რაც ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით იყო განსაზღვრული, მიგრაციული პროცესები გრძელდება და მათ პარალელურად გრძელდება ის საქმიანობა, რაც უზრუნველყოფს ამ პროცესების შესწავლას, ანალიზს და გამოწვევებზე შესაბამის რეაგირებას.

მნიშვნელოვანია, რომ წარიმართოს დასახული გრძელვადიანი ამოცანების დინამიკური რეალიზება, რაც აუცილებლად მოითხოვს სამოქალაქო სექტორთან ერთობლივ, ურთიერთშეთანხმებულ ქმედებას.

ინტერვიუ საქართველოში "მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია - IOM"-ის წარმომადგენლებთან - პროგრამის ხელმძღვანელთან, ბატონ მარკ ჰულსტთან და პროგრამების ადგილობრივ ხელმძღვანელთან, ქალბატონ ნათია კვიციანთან

მიგრაციული პროცესები საქართველოში

ნათია კვიციანი: მოგეხსენებათ, საქართველო ემიგრაციის ქვეყანას წარმოადგენს. 90-იანი წლებიდან მოყოლებული მიგრაციული პროცესი ძალიან გააქტიურდა. მიზეზი ძირითადად ეკონომიკური ხასიათისაა, უცხოეთში დასაქმებისა და უკეთესი შემოსავლის მიღება და აქ დარჩენილი ოჯახების დახმარება. შრომითი მიგრაცია საქართველოდან სპონტანურია და საჭიროებს ხელშეწყობას, რათა ადამიანების კვალიფიკაცია და უნარები შესაფერისად იქნას გამოყენებული და მიგრაციდან მაქსიმალური სარგებელი მიიღოს როგორც მიგრანტმა - უკეთესი შემოსავლის, დაცული შრომითი და ადამიანის უფლებების თვალსაზრისით და ასევე სახელმწიფომ, განვითარებული და კვლიფიცირებული სამუშაო ძალის სახით. დღესდღეობით, სახელმწიფოს მხრიდან ამ პროცესის რეგულირება არ ხდება. შრომითი მიგრანტები ან საკუთარი ახლობლებისა და მეგობრების საშუალებით ან დასაქმების კერძო სააგენტოების დახმარებით იღებენ ინფორმაციას უცხოეთში დასაქმების შესახებ და მიემგზავრებიან იქ სამუშაოდ ისე, რომ ხშირად ბოლომდე ან საერთოდ არ ფლობენ ინფორმაციას იმ ქვეყანაში დასაქმების ადგილის/მოვალეობების და არსებული საიმიგრაციო მოთხოვნების შესახებ. მიგრაციის მთავარი დანიშნულების არც ერთ ქვეყანასთან არ მოქმედებს ორმხრივი შრომითი მიგრაციის ხელშეკრულებები. ამ პროცესის რეგულირება დაწყებულია ახალი შრომითი მიგრაციის კანონით და პილოტური დროებითი შრომითი მიგრაციის პროგრამების ინიცირებით ევროკავშირის რამდენიმე წევრ ქვეყანასთან.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოდან წასულ მიგრანტთა დიდი ნაწილი არაფორმალურ სექტორში მუშაობს და შესაბამისად მოკლებულია იმ სარგებელს, რასაც ლეგალური და ინფორმირებული დასაქმება იძლევა. ჩვენ მიერ შრომითი მიგრაციის სფეროში განხორციელებული კვლევები ადასტურებენ, რომ შრომით საქმიანობას უმეტეს შემთხვევაში დანიშნულების ქვეყანაში არალეგალური ხასიათი აქვს, მიგრაციის ხანგრძლივობა საშუალოდ 7-9 წელია და შრომით მიგრანტთა 16% 22 და მეტი წელია ემიგრაციაში და დასაქმებულია არაფორმალურად. ადამიანები, პრაქტიკულად, მუშაობენ და ბერდებიან სამუშაო ადგილებზე, უმეტეს შემთხვევებში ვერ ახდენენ საკუთარი თავის რეალიზებას და უნარების განვითარებას. კვლევების თანახმად, საშუალო თვიური ფულადი გზავნილის ოდენობა 409 აშშ დოლარს შეადგენს. მიგრანტთა 2/3-ზე მეტი ფულს აგზავნის ყოველთვიურად. ფულადი გზავნილები ძირითადად იხარჯება საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და განათლების მიღების მიზნით. მცირე ნაწილი ხმარდება უძრავი ქონების შეძენას, და კიდევ უფრო ნაკლები ხმარდება ბიზნესის დაწყებასა და დანაზოგების შექმნას. კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სტატისტიკური ანგარიშების მონაცემებით, 2014 წელს უცხოეთიდან საქართველოში ელექტრონული ფულადი გზავნილების მოცულობამ ძირითადი პარტნიორი ქვეყნების მიხედვით 1440 8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ მესამედს აღემატება.

ექსპერტები მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით მიუთითებენ, რომ

ელექტრონული ფულადი გზავნილების სიდიდე საქართველოში ემიგრაციიდან ყველა საშუალებით შემოსული თანხის არანაკლებ 60%-70%-ია. ამიტომ საქართველოში ფულადი გზავნილების აგრეგირებული მაჩვენებელი შეგვიძლია 2,1 მლრდ აშშ დოლარამდეც კი ვივარაუდოთ. ამ თანხამ 2014 წელს მშპ-ს 12,1%-ს შეადგინდა (მშპ- 17266 მლნ აშშ დოლარი), 65%-ით აღემატა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს (1 272 მლნ აშშ დოლარი) და ბევრად არ ჩამორჩა ექსპორტის მაჩვენებელს (2 861 მლნ აშშ დოლარი).

ფულადი გზავნილების ტრანსფორმირება დანაზოგებსა და ინვესტიციებში რთული საკითხია, რადგან მისი განმკარგავი ფიზიკური პირია. მაგრამ ამ შემთხვევაში დიდია ფინანსური დაწესებულებების როლი, რომლებიც ამ რესურსების აკუმულირებას მოახდენენ და გადაამისამართებენ ეროვნულ ეკონომიკაში ინვესტიციებისა და კრედიტის სახით. განსაკუთრებული პირობების შეთავაზებით უნდა მოხდეს მიგრანტთა დაინტერესება, გახსნან სადეპოზიტო ანგარიშები სამშობლოში ან/და განავითარონ მცირე და საშუალო ბინზესი.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია კარგად იქნას გაანალიზებული მიგრაციასა და განვითარებას შორის კავშირი, მიგრანტთა/დიასპორის როლი და შესაძლებლობები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის და სათანადოდ იქნას ასახული ჩვენი ქვეყნის მიერ ამ ბოლო პერიოდში შემუშავებულ სოციალურ-ეკონომიკური, რეგიონული განვითარების სტრატეგიებსა და პროგრამებში.

აღასანიშნავია, რომ მიგრაციის სახ-ო სტრატეგიაში მიგრაციისა და განვითარების კომპონენტი საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი, რაც მას წინა სტრატეგიისაგან მნიშვნელოვნად განასხვავებს.

ეს სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია და შესაბამისად ხელს შეუწყობს თაანმშრომლობას სახელმწიფოს შესაბამის სტრქტურებს შორის მიგრაციის ეკონომიკური სარგებლის გააზრებასა და გამოყენებაში ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური ინტერესებისათვის.

მარკ ჰულსტი: რაც შეეხება უცხოელთა ჩამოსვლას საქართველოში, ყველასთვის გასაგებია და ცალსახად ჩანს, რომ საქართველო უკვე გახდა დანიშნულების ქვეყანა მათთვის, ვინც საქართველოს გავლით ევროპაში გადასვლას ცდილობს. აქედან შედარებით ადვილია გადასვლა და მერე იშლებიან ევროპაში.

ნელ-ნელა გაიზარდა ამ პოზიციის მნიშვნელობა. მე ვერ ვხედავ, რომ ამ პრობლემის აღიარება ხმამაღლა ხდება. პრობლემის ირგვლივ დისკუსია არ მიმდინარეობს, ხდება საზღვარზე პირების დაკავება, მერე ხდება არალეგალური მიგრანტების დევნა და გარკვეული დრო ციხეში ყოფნა უწევთ და მერე უშვებენ ციხიდან. დაკავება შეიძლება მოხდეს, მაგრამ ზოგიერთი ქვეყნის მოქალაქის დაბრუნება რთულდება, რადგან საჭიროა თანამშრომლობა შესაბამის ქვეყნებთან. მაგალითად სომალი: გამორიცხულია, რომ სომალის მოქალაქეზე საქართველო დაეხმაროს და დასაბრუნებელი დოკუმენტები მიაწოდოს, ამიტომ თუ შემოვუშვებთ მათ მოქალაქეებს, უნდა ვიცოდეთ, რომ მათი უმრავლესობა თურქეთში გადასვლას ეცდება. მიგრაციის სტრატეგიაში შეტანილია, რომ საქართველომ უფრო უნდა იაქტიუროს განვითარებად ქვეყნებთან, რომ გაფორმდეს რეადმისიის ხელშეკრულებები, მაგრამ ეს ადვილი არ იქნება, რადგან საქართველოს გავლენა არ არის დიდი ბევრ ქვეყანასთან მიმართებაში, რაც შედარებით დააჩქარებდა ამ პროცესს. ვიზალიბერალიზაცია ცალკე მიმდინარე პროცესია, მაგრამ მე მაინტერესებს რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ საქართველო უვიზო მიმოსვლის უფლებას მიიღებს - რამდენად გახშირდება პასპორტების გაყალბება. არსებობს რისკი, რომ საქართველოს პასპორტის კორუფციული მეთოდებით მიღების ბევრი მცდელობა იყოს, მაგრამ ვფიქრობ ამჟამად ეს საქართველოში გამორიცხულია. ეს ახალი ამოცანა იქნება მომავალში, აჯობებს მზად ვიყოთ მსგავსი გამოწვევებისთვის. ჯერ უნდა მოხდეს ამის აღიარება, ამის შემდეგ კი გაიწეროს სტრატეგიაში და სამოქმედო გეგმაში. ეს ცალკე თავად არის მითითებული რისკის შეფასების თავში. შსს არის უწყება, რომელიც ამაზე მუშაობს, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ სამუშაოს სპეციფიკურობა. ასეთი საკითხები ვიზალიბერალიზაციამდე უნდა იყოს განხილული.

საკანონმდებლო ბაზა

ნათია კვიციანი: ეს მოგეხსენებათ დინამიური პროცესია. გვაქვს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, რომელიც ქვეყნის იმიგრაციულ აქტს წარმოადგენს. რასაკვირველია კანონში ცვლილებები შევიდა, და ალბათ ქვეყნის გამოწვევების საპასუხოდ, ანუ საჭიროა თვალყურის მიდევნება მიგრაციის დინამიკის, ქვეყნის პრიორიტეტებზე და შესაბამისად მათი ასახვა შესაბამის საკანონმდებლო აქტებში.

მარკ ჰულსტი: მე ვფიქრობ, რომ ამ კანონთან, ისევე როგორც ბევრ სხვა სფეროში არსებულ

კანონთან დგას ფუნდამენტალური საკითხი, ანუ საქართველოს სახელმწიფო დონეზე არის მუდმივი შეჯახება. ერთია ევროინტეგრაციის საჭიროება და მეორე - საქართველოს თვითიდენტიფიცირებული ინტერესები. ეს შეიძლება თანხვედრაში არ მოდიოდეს ერთმანეთთან. მაგალითად ინვესტიციების მოძიება. ბევრისთვის, ვინც ეკონომიკურ წრეში მოქმედებს, ეს გულისხმობს გამარტივებულ რეჟიმს, რაც ზედმეტად გამარტივებულ ფორმებს გულისხმობს. ისინი ინვესტორებს შემდეგნაირად უყენებენ საკითხს: თქვენ უნდა ჩამოხვიდეთ, აქ ბიზნესი აწარმოოთ და სარგებელი ჩვენთან დარჩება. აქ უნდა შეფასდეს ბალანსი ზიანსა და სარგებელს შორის. ზიანი იმდენად დიდი არ არის ჯერ-ჯერობით, რომ ამაზე დაიწყონ ფიქრი. ადრე სავიზო რეჟიმი თითქმის არ არსებობდა, რადგან საზღვარზე ვიზის აღება საერთოდ არ წარმოადგენს სავიზო პოლიტიკას. ეს უბრალოდ დოკუმენტის მარტივად გაცემაა. ახლახან ამის ცვლილება იყო რეგულირებული, მაგრამ ზემოთ ხსენებული კანონის მიღების შემდგომ, საერთოდ შეწყდა მისი მოქმედება. შეიცვალა კანონის ფუნქციები და ფაქტობრივად მიგრაციის კუთხით დავბრუნდით წარსულში. ეს თანასწორობა არ არის დაცული და მუდმივად იცვლება, რაც მთავრობის დონეზე წყდება.

ნათია კვიციანი: ამაზე დავამატებდი, რომ ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, მიგრაციის მონაცემთა, ანუ შეგროვებული, გადამუშავებული მიგრაციის მონაცემთა საფუძვლიანი ანალიზი, რასაც უნდა ეფუძნებოდეს მიგრაციის პოლიტიკის შემუშავება და ქვეყნის უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ინტერესებს შორის ბალანსის მოძებნა. სხვათა შორის, დაწყებულია მუშაობა მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის შექმნაზე.. ბუნებრივია, რომ კარგია როდესაც ქვეყანა მნიშვნელობას ანიჭებს ინფორმირებულად, გაანალიზებულ მონაცემებზე დაყრდნობით, მიგრაციის პოლიტიკის წარმოებას, მაგრამ ამავდროულად მნიშვნელობა ენიჭება მონაცემების ხარისხს, რომელსაც თითოეული სტრუქტურა (რომელიც მიგრაციული მონაცემების გენერირებას ახდენს) მიაწვდის მონაცემთა ანალიზის ცენტრალურ სისტემას, რომ ხარვეზები შეფასებულ იქნას და გამოსწორებული.

მარკ ჰულსტი: რაც შეეხება ხარვეზების მქონე მონაცემებს, საზღვარზე შემოსულ პირთა აღრიცხვაში შეიძლება მოხდეს შეცდომა, რადგან თურქეთის მოქალაქეებს შეუძლიათ საქართველოში მხოლოდ პირადობის მოწმობის საფუძველზე შემოვიდნენ, მაგრამ მათი პირადობა ელექტრონული ფორმის არაა, ამიტომ მესაზღვრე ვალდებულია, რომ სისტემაში მონაცემები ხელით შეიყვანოს. იყო შემთხვევა, როდესაც ბევრი ადამიანი შემოდა თურქეთიდან (მაგალითად დიდი რაოდენობით შემოვიდნენ ზიმბამბველები სარფში). ისინი თურქეთის მოქალაქეები არიან, მაგრამ მესაზღვრე ვერ ამოწმებს ზუსტად მათ წარმომავლობას. ისინი არ დაიჭირეს თურქეთში და დაიჭირეს სხვა ქვეყანაში. თუ არ ხდება შეყვანილი ინფორმაციის კონტროლი, სისტემაში ჩნდება არაზუსტი მონაცემები, რასაც შორეულ პერსპექტივაში ძალიან ცუდი შედეგები შეიძლება მოჰყვეს.

მეტი აქცენტი აქ უნდა იყოს გაკეთებული ადამიანის გონებრივი რესურსის /ანალიზის უკეთ გამოყენებისთვის. ზედმეტად ვართ გადართულები ტექნიკურ რესურსზე, ადამიანური ძალისხმევა წინა პლანზე უნდა იყოს წამოწეული, რადგან სწორედ მას გააჩნია მთავარი როლი მუშაობის პროცესში. ეს არამხოლოდ პროცესს გახდის მეტად ნაყოფიერს, არამედ ადამიანებს დაეხმარება საკუთარი შესაძლებლობები განავითარონ.

მიგრაციის სტრატეგიაში ჩართულობა სხვა უწყებების და თქვენი:

მარკ ჰულსტი: მე იმედი მქონდა, რომ ჩვენი მხრიდან სამუშაო პროცესში ჩართულობა უფრო მეტი იქნებოდა, ფაქტიურად ჩვენ მონაწილეობა მხოლოდ ერთხელ მივიღეთ, როდესაც კომენტარების მიღების მიზნით მოგვმართეს. ჩვენი კომენტარების დიდი ნაწილი არ იყო გათვალისწინებული.

ნათია კვიციანი: ჩვენ სტრატეგიის ყველა ნაწილთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრებები გვქონდა, რომლებიც სამდივნოს გავუზიარეთ. თითოეული საკითხი განვიხილეთ, როგორც შეფასების კრიტერიუმებით, ასევე შევთავაზეთ მათი ალტერანტიული ფორმულირებები.
მარკ ჰულსტი: მე ვფიქრობ, რომ ამ წლის მეორე ნახევარში ძალიან სწრაფად მიმდინარეობდა უცხოელების შემოდინება, რაზეც საჯაროდ იშვიათად საუბრობდნენ.

სტრატეგიის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან:

ნათია კვიციანი: რეალურად, ქვეყნის მიგრაციის სტრატეგიისთვის ერთიანი სტანდარტი არ არსებობს, რადგან ყველა დოკუმენტი ამ მიმართულებით კონკრეტული ქვეყნის საჭიროებებს ასახავს. მე ვთვლი, რომ მიგრაციის სახ-ო სტრატეგია ასახავს ყველა იმ ძირეულ საკითხს, რომლებიც ქვეყანაში ამ კუთხით დგას და ვფიქრობ, რომ მიგრაციის კომისიის სამდივნო მაღალი პროფესიონალიზმით მიუდგა ამ დოკუმენტის შემუშავებას.

რასაკვირველია, არის საკითხები, სადაც ვისურვებდით, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო ჩვენი შეხედულებები, თუმცა

ყოველთვის რჩება იმის შესაძლებობა, რომ ვისაუბროთ სტრატეგიის დოკუმენტის ნაკლოვანებებზე და ავსახოთ მასში შესაბამისი რეკომენდაციები.

მარკ ჰულსტი: პრინციპში მოქმედი სტრატეგიის განვითარებაზე ძირითადად ქართული მხარე მუშაობდა, რასაც ვერ ვიტყვით მის წინამორბედზე. მაშინ უფრო მეტად იყვნენ ჩართულნი ევროპელი ექსპერტები და უფრო მეტად ისინი იყვნენ სამუშაო პროცესის მონაწილეები, მაგრამ ამ შემთხვევაში ქართულმა მხარემ აიღო თავის თავზე ეს საკითხი.

ნათია კვიციანი: ერთი საკითხი, რომელზეც მინდა გავამახვილო ყურადღება არის, შრომითი იმიგრაციის საკითხი, რომელიც არც მიგრაციის სტრატეგიაში და არც სხვა საკანონმდებლო აქტებშია გათვალისწინებული. ეს ძალიან მტკივნეული და საკამათო თემა იყო, მისი განხილვა სახელმწიფო კომისიის დონეზე მიმდინარეობდა, რასაც წინააღმდეგობა მოჰყვა ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროების მხრიდან, რადგან იყო მოთხოვნა, რომ ინვესტორებისთვის მიეცათ საშუალება შემოეყვანა მუშახელი და ქვეყანას არ დაევალდებულებინა ისინი, რომ ჯერ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადგილობრივი კადრები მოეძიებინა ქართულ შრომის ბაზარზე. რატომღაც ჩაითვალა რომ ეს ინვესტორს დააფრთხობდა. ეს არგუმენტი ცოტა გაუგებარია, რადგან ინვესტორს აინტერესებს, რომ ინვესტიციის შემთხვევაში ქვეყანაში დახვდეს კვალიფიცირებული ადამიანური რესურსი. ასევე ქვეყნისათვის ინვესტიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე ხომ ადგილობრივი სამუშაო ძალის დასაქმებაცაა. საერთოდ ეროვნული სამუშაო ძალის ინტერესი სახ-ომ პირველ რიგში უნდა დაიცვას განსაკუთრებით კი მაშინ, როდესა უმუშევრობა ასეთი პრობლემაა ქვეყნისათვის.
შრომითი იმიგრაციის საკითხი მიგრაციის სტრატეგიაშიც არ არის სრულყოფილად ასახული. როდესაც ამ საკითხზე ვსაუბროთ შრომასთან ერთად განათლების სამინისტროს როლიც და ინტერესი ძალიან დიდია, რადგან განათლების სისტემა ეკონომიკაზე არის და უნდა იყოს ორიენტირებული. ასე რომ შრომითი იმიგრაციის საკითხი მნიშვნელოვანი თემაა ქვეყნისათვის და მისი იგნორირება და დაკნინება არ იქნება სწორი.

მარკ ჰულსტი: მიგრაციას განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება სხვადასხვა უწყებების მხრიდან, რათა მაშტაბურ პრობლემებში არ გადაიზარდოს. ეს დღეს ევროპაშიც პრობლემური საკითხია, რადგან თავიდანვე, 70-იან წლებიდან მოყოლებული არ ხდებოდა პოლიტიკის განსაზღვრა, რისი შედეგიც უკანასკნელი საფრანგეთის მოვლენებიდან გამომდინარე დავინახეთ. ეს კვლავ ამოცანად რჩება, რადგან მიგრაციის მართვა ურთულესი ამოცანაა და მაქსიმალურ ყურადღებას საჭიროებს. ბუნებრივია, რომ საქართველო ორ წელიწადში ვერ შეძლებს იდეალური სურათის მიღებას, მაგრამ მუშაობა უნდა გაგრძელდეს.

რეინტეგრაცია:

მარკ ჰულსტი: უახლოეს მომავალში ჩვენ დავდებთ კვლევას, რომელშიც ამ სახელმწიფო პროგრამაში ჩართული მხარეების მიერ გაწეულ სამუშაოსთან დაკავშირებით შეფასება იქნება ასახული. პროცესი წინ მიდის, მაგრამ საჭიროა მეტი ფინანსური რესურსის არსებობა რადგან მასშტაბი ძალიან დიდია. უკრაინელმა ექსპერტმა მითხრა, რომ მათ ქვეყანაში საერთოდ არ მიმდინარეობს რეინტეგრაციის პროგრამა, რადგან ეს დისკრიმინაციად ითვლება, თუმცა მათ აქვთ სახელმწიფო მიგრაციის პროგრამა, რომელიც მათ ოჯახებზე და ფულად გზავნილებზეა გათვლილი, რაც სახელმწიფოს მიერ ფინანსდება. აქ სხვა პრობლემაც დგას. მაშინ, როდესაც საბერძნეთის კრიზისის ფონზე ამდენი ადამიანი ბრუნდება, საჭიროა პროგრამის მასშტაბებიც გაიზარდოს. ბევრად უკეთესი მდგომარეობაა ამ კუთხით იმასთან შედარებით, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

ინტერვიუ

ინტერვიუ აიპ „ემიგრანტები სამოქალაქო განვითარებისთვის“ ხელმძღვანელ ქალბატონ ქეთევან აბულაშვილთან

როგორია ზოგადი მდგომარეობა ქართველი მიგრანტებისთვის დღევანდელ რეალობაში და რას ცვლის არსებითად სტრატეგიით განსაზღვრული საკითხები?

ჩვენს ქვეყანაში ქართველი მიგრანტები იყოფიან ორ კატეგორიად, პირველი - რომლებიც იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ ლეგალურად და მეორე, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობდნენ არალეგალურად. ჩვენი ორგანიზაციის დაკვირებით პირველ შემთხვევაში მიგრანტები ცდილობენ დასაქმდნენ საჯარო სამსახურში (ლაპარაკია იმ მიგრანტებზე, რომლებმაც განათლება ევროკავშირის ქვეყნებში მიიღეს), ან საბანკო სექტორში და გამოავლინონ უცხოეთში მიღებული ცოდნა (გამოცდილება). ისინი ორიენტირებულნი არიან მაღალანაზღაურებად სამსახურზე, რადგან საზღვარგარეთ ცხოვრების პერიოდში მათ მიიღეს კარგი განათლება, რაც საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, ხშირ შემთხვევაში შემოთავაზებაც კი აქვთ არ დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში და დასაქმდნენ უცხო ქვეყანაში, სადაც მიიღეს განათლება. ძალიან იშვიათად, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც საზღვარგარეთ ლეგალურად მცხოვრები ქართველები საქმდებიან კერძო სექტორში, ცდილობენ წამოიწყონ საკუთარი ბიზნესი და ამ საქმინობით დაუკავშირდნენ ისევ იმ ქვეყანას, საიდანაც დაბრუნდნენ. აწყობენ საკომუნიკაციო ქსელს და ცდილობენ არ გაწყვიტონ კავშირი იმ ქვეყანასთან.

მეორე შემთხვევაში საქმე უფრო რთულადაა, რადგან საზღვარგარეთ არალეგალურად მცხოვრები ადამიანი ნაკლებად იძენს იმ განათლებასა და უნარ-ჩვევებს, რასაც ლეგალურად მყოფი პირი. მათ შეიძლება მხოლოდ პროფესიული ცოდნა შეიძინონ, იმის მიხედვით, თუ რომელ ქვეყანაში იმყოფებოდნენ ემიგრაციის დროს. მაგალითად: იტალიაში მცხოვრები არალეგალი მიგრანტი ხშირ შემთხვევაში ბრუნდება გასტრონომიის კუთხით შეძენილი ცოდნით; ესპანეთიდან დაბრუნებული - სამშენებლო მიმართულებით შეძენილი ცოდნით და ა.შ.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ უცხოეთში არალეგალურად მცხოვრები მიგრანტის ყოფა-ცხოვრება შედარებით რთულია, ვიდრე ლეგალურად მყოფი პირისა. ამ შემთხვევაში მიგრანტი ვერ ადასტურებს მის მიერ შეძენილ ცოდნასა თუ უნარ-ჩვევებს, ფსიქო-ემოციურად უფრო დაძაბულია, იმის გამო, რომ აეწყოს აქაურ ცხოვრებას უხდება ყველაფრის თავიდან დაწყება, მათ შორის ოჯახთან ურთიერთობის დროსაც. ვერ შოულობს სამსახურს საჯარო დაწესებულებაში, რადგან არ აქვს შესაბამისი განათლება, ვერ ადასტურებს ენის ცოდნას, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, საკუთარ ქვეყანაში უჭირთ კომუნიკაცია ადამიანებთან. ასეთ მიგრანტებს განსაკუთრებული ყურადღება და სითბო ესაჭიროებათ საზოგადოების მხრიდან, ამიტომ მიგრაციის სტრატეგიაში ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული არა მარტო მათი (არალეგალი მიგრანტების) საჭიროებები, არამედ მათი დახმარების რეალური მექანიზმები, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ამ ადამინების ცხოვრების შეცვლა უკეთესობისკენ.

რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის მიგრაციის ახალი სტრატეგია?

ჩვენი ქვეყნისთვის მიგრაციის ახალი სტრატეგია ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მასში ასახულია სახელმწიფოს პოლიტიკა მიგრაციული პროცესების მიმართ. იქმნება შესაძლებლობა იმისა, რომ უფრო დაიხვეწოს საკანონმდებლო ბაზა და გამყარდეს ურთიერთობები საზღვარგარეთის ქვეყნებთან, განვითარდეს თანამშრომლობა ევროკავშირთან. სტრატეგია მნიშვნელოვანია ორგანიზებულ დანაშაულთან, ტრეფიკინგთან ბროლის კუთხითაც, ამასთან ერთად უფრო ეფექტური ხდება მუშაობა არალეგალურ

მიგრაციასთან და ლტოლვილებთან მიმართებაში.

არის თუ არა შესაბამისობაში სტრატეგიის ეს მოდელი იმ გამოწვევებთან, რომლებიც საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მყოფ მიგრანტებს უდგათ?

სტრატეგიაში ემიგრანტის საჭიროებები კარგად არის ჩამოყალიბებული, ყოველ შემთხვევაში ჩანს მცდელობა იმისა, რომ მივუახლოვდეთ საერთაშორისო სტანდარტებს. სხვა საკითხია მათი სისრულეში მოყვანა ისე, რომ არ დაირღვეს უცხოეთში მყოფი ემიგრანტებისა და სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების უფლებები.

რომელ საკითხებს დაეთმო საკმარისი ყურადღება და რა დარჩა მის მიღმა?

სტრატეგიაში დიდი ყურადღება ეთმობა ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობას და სავიზო პოლიტიკის განვითარებას, მაგრამ ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს საქართველოში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეების სამართლებრივი მდგომარეობა და ბინადრობასთან დაკავშირებული პრობლემები განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც მათთვის ჯერ კიდევ ვერ ხერხდება კვალიფიციური მომსახურების გაწევა.

რამდენად მოგეცათ საშუალება რომ ჩართული ყოფილიყავით სამუშაო პროცესში?

გამომდინარე იქედან, რომ ჩვენს ორგანიზაციას მუდმივად უარს ეუბნებიან საკონსულტაციო სტატუსის მქონე ორგანიზაციების ჯგუფში გაწევრიანებაზე, არ მოგვეცა საშუალება იმისა, რომ მიგვეღო მონაწილეობა და დავსწრებოდით მიგრაციის სტრატეგიის შემუშავების პროცესს. თუმცა, არის ერთი პარადოქსული სიტუაცია, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ვებგვერდზე, საკონსულტაციო სტატუსის მქონე ორგანიზაციების ჩამონათვალში ნახავთ ჩვენი ორგანიზაციის მისამართს და ჩემს პირად საკონტაქტო ნომერს, სადაც მრავალი ემიგრანტი მიკავშირდება კონსულტაციის გაწევის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ არ მოგვეცა საშუალება გავმხდარიყავით საკონსულტაციო სტატუსის მქონე ორგანიზაცია, ჩვენ ყოველთვის გულისყურით ვეკიდებით ასეთ ზარებს და საჭიროების შემთხვევაში ბოლომდე მივყვებით ემიგრანტის საქმეს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

გრძელვადიან პერსპექტივაში შეძლებს თუ არა ეს დოკუმენტი დაარეგულიროს მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები?

მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები რასაკვირველია ერთი ხელის მოსმით ვერ დარეგულირდება, ამას სჭირდება ერთობლივი მუშაობა და საქმის სწორად განაწილება. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო უწყებები ერთმანეთთან შეთანხმებულად იმოქმედებენ, საერთო მიზანიც სწაფად იქნება მიღწეული. მიგრაციის სტრატეგიასთან მიმართებაში აღსანიშნავია საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების როლიც. სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს მათი პოტენციალი და შესაძლებლობები.

სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობებიდან რა მიმართულება იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი რაზეც უნდა იმუშაონ სახელმწიფო უწყებებმა?

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოდან წასული ადამინების უმეტესობა საზღავარგარეთ არალეგალურად ცხოვრობს, ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენი ემიგრანტების დაბრუნება სამშობლოში და მათი რეინტეგრაციის ხელშეწყობა. აუცილებებლია შეიქმნას უფასო სამედიცინო დახმარების ცენტრები არალეგალი მიგრანტებისთვის, რადგან მათ უცხო ქვეყანაში ყოფნის დროს არ აქვთ შესაძლებლობა იმისა, რომ ოფიციალურად მიმართონ ექიმს და იმკურნალონ. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებით უამრავი ადამიანი ბრუნდება ჩვენს ქვეყანაში.

შეგიძლიათ შეჯამების სახით წარმოგვიდგინოთ დოკუმენტის დადებითი და უარყოფითი მხარეები, როგორც შინაარსობრივი ასევე ტექნიკური კუთხით?

სტრატეგიის დოკმენტის დადებითი მხარეა ის, რომ ყურადღება ეთმობა საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებას და ევროკარშირთან მიმართებაში ცნობიერების ამაღლებას ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის. რაც შეეხება უარყოფით მხარეს, ამას დრო გვიჩვენებს, თუ რამდენად სწორედ იყო გათვალისწინებული ის საკითხები, რაც სტრატეგიაშია მოცემული.